სამშაბათი, 13 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 250

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

9 გიორგობისთვეს, საღამოთი, გარდაიცვალა

**ეოველად სამღვდელო ალექსანდრე,**

რასაც აუწყებს განსვენებულის პატივის მცემელთ, ნათესავთა და ნაცნობთ იმერეთის **ეპისკოპოსი ლეონიდი**. დაკრძალვა განსვენებულისა მოხდება შიო-მღვიმის მონასტერში ხუთშაბათს, ამა თვის 15-ს, შემდეგ წირვის და ანდერძის გადახდისა. (3—6.—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

## „კახეთის“

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ 25 ნოემბრისთვის დანიშნულია ქ. თელავში, **ხელმეორედ წევრთა საზოგადო საგანგებო კრება** კომისიის მოხსენების განსახილველად. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—6.—2)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

სამშაბათს, 13 ნოემბერს, ხელმისაწვდენი წარმოდგენა დაკლებულის ფასებით

**„რ ო მ ე ო  დ ა  ჯ უ ლ ი ე ტ ა“**

ოპერა 5 მოქმ. მუსიკა გუნოსი.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი გორინა, რიბჩინსკაია, ტურჩანინოვა: ბ-ნნი საანოვი, ენგელ-კრონი, გავრილოვი, სიბირიაკოვი, სურდისი, უხოვი, დე-რობერტი და სხვ.

კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 14 ნოემბერს, **„პიკოვაია დამა“**; 15 ნოემბერს—მეორედ **„მარგალიტის მაძიებელნი“** და ახალი ფანტასტიური ბალეტი **„ნიჩმარი ძილის შემდეგ“**. (—4

გ ა ი ხ ს ნ ა

## დურგალთა პროფესიანალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდგება თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

**ბიუროს ადრესი:** მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—6)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

**ქალისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი

**ივ. გომართელი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—15)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, ნიფილისიან და ქალით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—9)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—43)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ბადრიძე**

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—6)

ექიმი ქალი

**ს. ზ. მირზოევისა**

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—24)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

ე ქ ი მ ი

**ვ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—წლ.

ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი  ქ ა ლ ი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—4)

ე ქ ი მ ი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ნ ი ნ ო  რ ც ხ ი ლ ა ძ ე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—221)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—15)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—8)

ე ქ ი მ ი

**ე. ზ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

**ქ თ ე ლ ა ვ შ ი**

ექიმი

**ნ ზ მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად ბშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—418—1)

ე ქ ი მ ი

**ი. ი. გოკიელი**

სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, ქანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (12—406—4)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდინკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—ქალისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ასპინთვა**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზოტოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ანაევა**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნევშორთვა**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**გორონბცოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

**პივარსკი**— | კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი**— |

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—58)

ამ თვის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

**დამდეგი 1908 წლის.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) საკალენდრო ცნობები, 2) რუსეთის იმპერატორის გვარეულობა და მათი ქონება, 3) საქართველოს რუსეთთან შეერთების ხელშეკრულება, 4) ასტრონომიური ცნობები, 5) ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის ცნობები, 6) უცხოეთის ს.-ხელმწიფოთა ცნობები, 7) პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, 8) სტატისტიკური ცნობები, 9) იურიდიული ცნობები, 10) გამოსადეგი ცნობები, 11) სამეურნეო ცნობები, 12) საექიმო ცნობები, 13) შესანიშნავი ამბები (1906 წ. 1 ნოემბრიდან 1907 წ. 1 ნოემბრამდე მომხდარი).

**კალენდარს ბოლოში დართული ექმნება სალიტერატურო ნაწილი**

კალენდარი დიდი ზომისაა. შეიცავს 150 გვ. და ეღირება 30 კაპ. ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 100 ცალს, იმას დაეთმობა 30% დაკლებით.

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

მისამართი: ტფილისი, სტამბა «იდეალი» **სტეფანე ბაშინჯაღიანს.**

„ტფილისის სობრანიე“

სამშაბათს, 13 ნოემბერს, **ბ-ნთ წევრთა, კანდიდატთა და მათ ოჯახთათვის** ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

## „ხ ა ნ უ მ ა“

კომედია 3 მოქ., ავქ. ცაგარლისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.** (1—415—1)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

ღრმად მწუხარე **მღვდელი ბესარიონ იაკობის ძე და იაკობ სიმონის ძე ვაშაძეები** ულრმეს მადლობას უცხადებენ მათ, ვინც დასწრებით, დეპეშით ან წერილებით თანაუგრძნო და მწუხარება გამოუცხადა პირველს უსაყვარლეს მეუღლის, ხოლო მეორეს ძვირფას რძლის **ელისაბედ** (იგივე ელენკო) **ჩიქვილაძის ახულის ვაშაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. (1—ფ.—1)

## ტფილისი, 13 ნოემბერი.

საზოგადოებრივ განვითარების კულტურულ მიზანთა შორის სახალხო განათლებას, უეჭველია პირველი ადგილი უჭირავს. სახალხო განათლება შეიცავს არა მარტო პირველ დაწყებითს სწავლას, არამედ აგრეთვე საშუალო და უმაღლეს სწავლასაც, და არა მარტო სასკოლო სწავლას, არამედ აგრეთვე სკოლის გარეშე სწავლასაც. ხალხის განათლება და ცოდნა ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია არა მარტო გონებრივ და ზნეობრივ წარმატებისთვის, არამედ ეკონომიურ კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვისაც. ამიტომ სახალხო განათლებას ერის ცხოვრების ღერძი შეიძლება ვუწოდოთ. ამ ღერძთან მჭიდროდ შეკავშირებულია ხალხის განვითარების მრავალი მხარე და ამიტომ სახალხო განათლების დატოვება გარეშე ფართო საზოგადოებრივ ორგანიზაციისა არც სასარგებლოა და არც შესაწყნარებელი.

დღევანდლამდე ქართველ ხალხის განათლების საქმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის გარეშე იმყოფება. მართალია, რამდენიმე განმანათლებელი საზოგადოება კაი ხანია არსებობს, მართალია, ბევრი ამ გვარივე საზოგადოება ეხლა არსდება ჩვენ თვალ წინ, მაგრამ თითოეული ასეთი დაწესებულება სახალხო განათლების მხოლოდ განსაკუთრებითს მხარეს უწევს ანგარიშს; მოპეტებულ ნაწილად ამ დაწესებულებათა მიზანია სახალხო განათლების რომელისამე ფორმის ტეხნიკური განხორციელება, ხოლო მთლად და სრულად სახალხო განათლების ორგანიზაცია, იმის მიმართულების განსაზღვრა თანახმად ხალხის საერთო საჭიროებისა და სხვა და სხვა განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედებაში შეთანხმების და ერთის სულის შეტანა კი ეხლანდელ განმანათლებელ დაწესებულებათა ძალას აღემატება და მათ მიზანს არც შეადგენს. ჩვენ კარგად გვესმის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ განმანათლებელ დაწესებულებას და დიდის სიამოვნებით ვეგებებით ამ ტიპის ყოველ ახალ ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ ჩვენის რწმენით მათის მოქმედების მეტი ნაყოფიერებისთვის, მათის მოქმედების შესათანხმებლად ურთიერთთან და ხალხის საერთო საჭიროებებთან აუცილებლად საჭიროა ერთი ისეთი ფართო საზოგადოებრივი განმანათლებელი ორგანიზაცია, რომელიც ერის განათლების საერთო რეგულიატორი იქნებოდეს და ეხლანდელ განცალკევებულ და განმარტოვებულ განმანათლებელ დაწესებულებების მოქმედებას ერთის მიმართულების ხაზს აძლევდეს. ვიდრე ასეთი ფართო საზოგადოებრივი განმანათლებელი დაწესებულება არ არსებობს, ფაქტიურად იმის ბუნებრივ ფუნქციებს ასრულებს თითოეული ეხლანდელი განმანათლებელი ორგანიზაცია და, რაც უმთავრესია, ასრულებს უანგარიშოდ, უვარაუდოთ და ხშირად სახალხო განათლების საერთო საქმისთვის არა სასარგებლოდ, არამედ პირდაპირ საზიანოდ. არც ერთს ქართულს განმანათლებელ დაწესებულებას, მაგალითად, ნავარაუდევი არა აქვს, სახალხო განათლებაზე შეწ. ხარჯ. ენერგიის რამდენი ნაწილი უნდა მოხმარდეს დაბალ განათლებას, რამდენი საშუალოს და რამდენი უმაღლესს. ენერგიის განაწილება აქ ეხლა პირდაპირ ბრმად ჰხდება, უანგარიშოდ და უვარაუდოთ. ეს უანგარიშობა, რა თქმა უნდა, საზიანოა ერის განათლების საერთო საქმისთვის. არც ერთი ქართული განმანათლებელი დაწესებულება არ განსაზღვრავს, როგორი ტიპის და შინაარსის საშუალო ან უმაღლეს განათლებას რამდენი ძალა უნდა მოჰხმარდეს ხალხის საჭიროებათა მიხედვით. ამის გამო თითოეული დაწესებულება, თითოეული ჩვენებური ქველმოქმედიც კი თავის პირად გემოვნების მიხედვით სწყვეტს ამ საკითხს, და ამიტომ, რა თქმა უნდა, ხშირად დიდი ნაწილი ერის განმანათლებელ ძალებისა სრულიად უქმად იხარჯება. საკმარისია მოვიგონოთ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სქემა სტიპენდიების განაწილებისა სპეციალობის მიხედვით. რომ ამ განაწილების სქემას არავითარი გონიერი საფუძველი არა აქვს, ეს იმათთვისაც ცხადი უნდა იყოს, ვინც ამ განაწილებას აწარმოებს, მაგრამ არც თუ ისე გასამტყუნარნი არიან ისინი, რადგან ამ საკითხის რაციონალურ გადაწყვეტისთვის აუცილებლად საჭიროა ისეთი ფართო საზოგადოებრივი განმანათლებელი ორგანიზაცია, რომელიც ჯერ არა გვაქვს, ხოლო თავად-აზნაურების დეპუტატები კი, რასაკვირველია, ამ მეტად რთულ საკითხს, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, ხელის ჩასაჭიდს ვერ უპოვნიდნენ. ხალხის განათლებისთვის საერთოდ და ქართველ ერისთვის—კერძოდ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ეკონომიურ ცხოვრების შესაფერ ტეხნიკურ ცოდნის გავრცელებას. დღემდე ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მხარე სახალხო განათლებისა ჩვენს ქვეყანაში სრულიად დაჩრდილულია და ამისი უმთავრესი მიზეზი, თუ არა ერთად ერთი—ისაა, რომ სახალხო განათლების ორგანიზაცია საერთოდ შემთხვევითი ხასიათისაა და არავინ არა ზრუნავს ამ საქმის შეთანხმებაზე საერთოდ ერის ცხოვრების პირობებთან.

ჩვენგან საჭიროდ მიჩნეული ფართო საზოგადოებრივი განმანათლებელი დაწესებულება, რა თქმა უნდა, ვერაფერს გააწყობს, თუ რაიმე რეალური საშუალება არ ექმნა მას ხელში, გავლენა იქონიოს თითოეულს განმანათლებელ დაწესებულებაზე. ეს რეალური საშუალება სხვა და სხვა გზით შეიძლება მოპოვებულ იქმნას. აღვნიშნავთ, მაგალითად, ყველა აწ არსებულ ქართულ განმანათლებელ დაწესებულებათა შეერთებას ერთ კავშირად განსაზღვრულ პირობებით, ან, ვთქვათ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების რეორგანიზაციას ამ მიზნის მიხედვით. თქმა არ უნდა, პრაქტიკული განხორციელება ჩვენის აზრისა ადვილი საქმე არ არის, იმას მრავალი დაბრკოლება გადაეღობება გზაზე, შინაური და გარეშე, მაგრამ ყოველივე სიძნელე შეიძლება ძლეულ იქნეს, თუ კი ამას სახალხო განათლების საჭიროება მოითხოვს. უმთავრესი ისაა, რომ ჯერ-ჯერობით გავრცელდეს აზრი და რწმენა ასეთ ფართო საზოგადოებრივ განმანათლებელ დაწესებულების შესახებ.

## ორიოდე სიტყვა ბიუჯეტზე

—:—

უმთავრესი საქმე, რომელიც ახლო მომავალში მოელის სათათბიროს, არის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. ვერც პირველმა და ვერც მეორე სათათბირომ ვერ მოასწრეს ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანის საქმის დასრულება და, მიუხედავად იმისა, რომ ორი წელიწადია არსებობს სახალხო წარმომადგენლობა, ბიუროკრატია წინანდებურად უკონტროლოდ განაგებს სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის მთელს საქმეს.

თუმცა კანონი ფრიად ზღუდავს პარლამენტის როლს საბიუჯეტო საქმეში, თუმცა სახალხო წარმომადგენლობას ნება არა აქვს მინიჭებული ბიუჯეტის ნახევარ ნაწილს შეეხოს თავის კრიტიკითა და რამე შესცვალოს ამ ნახევარში, მთავრობა მაინც დიდის ეჭვით არის შეპყრობილი და მოწადინებულია, რაც შეიძლება უფრო მეტად შეამციროს სათათბიროს ეს მუშაობა. განა რამე შიში უნდა ჰქონდეს მესამე სათათბიროსი? განა წინდაწინვე არაა დარწმუნებული, რომ მორჩილი უმრავლესობა უცვლელად დაუმტკიცებს მთელ პროექტს 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვისას? მაგრამ მაინც შიშშია და ძალიან ცდილობს ყოველივე მხრით ნიადაგი მოიმზადოს და შესაძლებელი მოულოდნელი შემთხვევები თავიდან აიცილოს. პირველად ყოვლისა მას ჰსურს დაარწმუნოს სათათბირო, რომ ნორმალურის პირობების აღსადგენად საჭიროა ბიუჯეტი მზად იყოს 1-ლ იანვრამდე. ეს სამი წელიწადია, მთავრობა კანონიერად დაუმტკიცებელის ბიუჯეტით იოლად მიდის; ახლა-კი, რათა სახალხო წარმომადგენლობას ცოტა დრო მისცეს ბიუჯეტის განხილვისთვის, ცდილობს მდგომარეობა ისე აჩვენოს, თითქო ყოვლად შეუძლებელია ახალის წლის დაწყება დაუმტკიცებელ ბიუჯეტით. მეორეს მხრით, მთავრობის გაზეთები და იმის მომხრე პარტიების გაზეთებიც ყოველ დღე ამტკიცებენ, რომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ბიუჯეტის რეფორმა, რომ პირველად საჭიროა „მომწიფებულ ცვლილებათა მოხდენა პოლიტიკურსა და სოციალურს წესწყობილებაში“ და მხოლოდ ამ ცვლილებათა მიხედვით ბიუჯეტის რეფორმაც შეიძლება მომავალში; მანამდის-კი სათათბირო იძულებულია უცვლელად დასტოვოს ახლანდელი ბიუჯეტიო... ეჭვი არაა, მთავრობის ასეთი სურვილი მხედველობაში იქნება მიღებული ახლანდელ სათათბიროს უმრავლესობისაგან და ბიუჯეტის განხილვა უბრალო ფორმად გადაიქცევა, ისე, თითქო რომელიმე დეპარტამენტი იხილავს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის პროექტს და არა სახალხო წარმომადგენლობა, რომლის მთავარი დანიშნულებაა—რიგიანსა და სამართლიანს პირობებში ჩააყენოს ხალხისაგან შემოსავლის მიღებისა და ხალხის ფულის დახარჯვის საქმე. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახლანდელი სათათბირო პირველს ბიუჯეტს მაინც ხელს არ ახლებს და ყოველივე უცვლელად დარჩება.

ხოლო რა დარჩება უცვლელად, ამაზე შემდეგში გვექნება არა ერთხელ შემთხვევა ვილაპარაკოთ, როცა ბიუჯეტის პროექტი სავსებით გამოცხადდება და როცა სათათბირო შეუდგება მის განხილვას; ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მთავარ მომენტს მომავალ წლის ბიუჯეტისას.

პროექტით, მომავალ წლის სახელმწიფო შემოსავალი უდრის—ჩვეულებრივი: 2.318.887.000 მანათს, არა ჩვეულებრივი: 7.000.000 მანათს; გასავალი კი უდრის—ჩვეულებრივი: 2.317.550.169 მანეთს, არა ჩვეულებრივი—197.965.697 მანეთს. მთელი ბიუჯეტი, მაშასადამე, ორ ნახევარ მილიარდამდე ასულა. წინა წელთან შედარებით ჩვეულებრივი შემოსავალი 150 მილიონ მანეთით აღემატება 1907 წლის შემოსავალს. საკითხავია: საიდან მატულობს სახელმწიფოს შემოსავალი, როცა მთელი რუსეთი ეკონომიურს კრიზისს განიცდის და ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა? საქმეც ის არის და რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის, საფინანსო სისტემის უსამართლობა და უვარგისობაც ისაა, რომ ნორმალური ურთიერთობა ხალხის ეკონომიურ მდგომარეობისა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შორის კარგა ხანია დაკარგულია: ხალხი უკიდურეს სიღატაკეშია და თან და თან ირღვევა მისი ნივთიერი კეთილდღეობა, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი მაინც წლითი-წლით იზრდება და იზრდება. ამასთანავე სისტემა უცვლელად რჩება: უმთავრესად ემატება არა პირდაპირ გადასახადებს, ე. ი. ბიუჯეტის ზრდა უმთავრესად ხალხს, ღარიბ-ღატაკ კლასსებს, აწვება კისერზე. მაგალითად, 1908 წლის პროექტშიაც ჩვეულებრივ შემოსავლის მომატება წლევანდელთან შედარებით გამოანგარიშებულია იმნაირად, რომ არა პირდაპირი გადასახადი 35 მილიონ მანეთით მეტი უნდა იქნასო!.. სახელმწიფოს გასავალშიაც ყოველივე უცვლელად რჩება, სისტემის მხრით, რასაკვირველია. წინანდებურად მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეულია ჯარის გაძლიერებაზე და უყურადღებოდ დატოვებულია ყოველი ისეთი საჭიროება, რომელიც ხალხის სულიერსა და ნივთიერს კეთილდღეობას შეეხება. 1908 წელსაც სამხედრო და საზღვაო სამინისტროების ბიუჯეტი გაძლიერებულ უნდა იქნას 56 მილიონ მანეთით, მაშინ როდესაც საერო განათლების სამინისტროს ემატება მხოლოდ 7 მილიონი მანეთი! ნუ დაივიწყებთ, რომ პირველ ორ უწყებათა ბიუჯეტი მიუმატებლადაც შეადგენს მთელის ხარჯთ აღრიცხვის თითქმის ნახევარს..

როგორც უკანასკნელ წლებში, ისე ახლაც, რასაკვირველია, ბიუჯეტი ვერ უძლებს ხარჯებს და ისევ დეფიციტია მოსალოდნელი. პროექტით, სულ მოსალოდნელია 190 მილიონ მანათის დეფიციტი, რომელიც უნდა დაიფაროს „საკრედიტო ოპერაციებით“ ო, იმეორებს ბიუჯეტის შემდგენელი,—ე. ი. სესხის აღებით. სახელმწიფოს უიმისოდაც საშინელი ვალი აწევს: მარტო სარგებლად წელიწადში იხდის 400 მილიონ მანათამდე, მაგრამ მთავრობა უშიშრად უმატებს ვალს ყოველ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ისედაც უკიდურეს ეკონომიურს ყოფაშია... ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა უთუოდ მიიღებდა ყველა ამას მხედველობაში და დიდის ბრძოლის შემდეგ სრულებით გადააკეთებდა რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტს; მაგრამ ახლანდელი „მორჩილი პარლამენტი“ ასეთ გმირობას ვერ გამოიჩენს და ბიუროკრატიას შეუძლია არხეინად იყოს: ისევ დარჩება უკანტროლო ამკრებლად და მფლანგველად ხალხის „უკანასკნელ გროშებისა“.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

**შეკითხვა.** მინისტრებმა გაიგეს, რომ ახლო მომავალში სახელ. საბჭოსა და სათათბიროში მემარჯვენენი აპირებენ შეკითხვას. სათათბიროში შეეკითხებიან ორ საგანზე: 1) შესახებ კიევის პოლიტეხნიკუმში ებრაელ სტუდენტების მიღებისა და 2) სვეაბორგის ციხის გაუქმებისა. მინისტრთა საბჭო უკვე მოემზადა საპასუხოდ. პირველ შეკითხვაზე პასუხს გასცემს თვითონ სტოლიპინი, რომელიც ასე აპირებს თავის გამართლებას. პოლიტეხნიკუმში ზედმეტი ებრაელები მიიღეს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უფროსის შტოფის განკარგულებით (შტოფი ამ ჟამად სამსახურიდან გასულია). მთავრობას უფლება არა აქვს უკვე მიღებული სტუდენტები გარეთ გაჰყაროს. მას შეუძლიან ისინი სხვაგან გადაიყვანოს, მაგრამ ადგილი არსად მოიძებნება. მეორე შეკითხვაზე პასუხს გასცემს სამხედრო მინისტრი რედიგერი, რომელიც განაცხადებს, რომ ეს საქმე ძირითად კანონების ძალით სათათბიროს არ შეეხება, მაგრამ რედიგერი მაინც აღნიშნავს ამ ისტორიას. საკითხი სვეაბორგისა, ბათუმისა და ორიოდე სხვა ციხის გაუქმების შესახებ აღძრულ იქმნა სამხედრო წრეებში, მაგრამ საკითხი ისევ საკითხად დარჩა, რადგან უმაღლესმა მთავრობამ იგი არ მოიწონაო. გარდა ამისა, მემარჯვენენი აპირებენ შეეკითხნენ მთავრობას, რატომ არ დასაჯა მან ზოგიერთა ვექილები, რომელნიც პოლიტიკურ დამნაშავეთ იცავდნენო.

**ისევ შმიტი.** სამშობლოს მოღალატის შმიტის არჩევამ თვითონ სათათბიროშიაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია. შმიტს ჯერ ოქტომბრისტების ფრაქციაში უნდოდა ჩაწერა, მაგრამ არ მიიღეს. გაჯავრებულმა შმიტმა ოქტომბრისტებისაგან 30 დეპუტატი გადაიბირა და მემარჯვენეებს მიემხრო, მაგრამ იქაც ატეხილა კამათი, შეიძლება თუ არა მოღალატის მიღებაო. ამის შესახებ ლაპარაკი ყოფილა მემარჯვენეთა კლუბში. ზოგნი ამბობდნენ, რაკი შმიტს დანაშაული ეპატია, ჩვენ უფლება არა გვაქვს განვდევნოთ იგი ჩვენის წრიდანაო. მეორენი ამტკიცებდნენ, სამშობლოს ღალატი ისეთ ჩირქსა სცხებს ადამიანს, რომ დანაშაულის პატიება მას ვერ ჩამორეცხავს, ამიტომ მისი მიღება ჩვენი შერცხვენა იქნებაო. ბოლოს დაადგინეს: თუ შმიტი სასამართლომ გამართლა, ფრაქციაში მიღებულ იქმნასო. ამ საქმის გამოსარკვევად არჩეულ იქმნა კომისია.

**უპარტიო პროგრესისტთა ფრაქცია.** სათათბიროში დაარსდა ახალი ფრაქცია უპარტიო პროგრესისტებისა. ფრაქცია დაუარსებია მშვიდობიან განახლების ფრაქციის ბელადს ეფრემოვს. ახალი ფრაქცია ალბათ მალე შეუერთდება მშვიდობიან განახლების პარტიას. ახალ ფრაქციაში უკვე 52 კაცი ჩაწერილა.

**მემარჯვენეთა შეერთება.** უკიდურესი მემარჯვენენი დღემდის ორ ფრაქციად იყვნენ გაყოფილნი: განაპირა კუთხეთა რუს-დეპუტატების კავშირი, სადაც 42 დეპუტატი ითვლებოდა, და „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირი, სადაც 32 წევრი ითვლებოდა. ეხლა 16 მღვდელსა და 2 გლეხს დაუარსებიათ ახალი ჯგუფი „სახალხო მართლ-მადიდებლური“, რომელმაც შეიერთა ზემოხსენებული ორი ფრაქცია. ამიერიდან უკიდურეს მემარჯვენენი ირქმევენ „სახალხო მართლმადიდებელთა ჯგუფს“, რომელშიაც ითვლება 90 დეპუტატი.

**უქვეშევრდომილესი ადრესი.** სათათბირომ აირჩია 18 კაცი და დაავალა უქვეშევრდომილეს ადრესის შედგენა. ამის გამო მემარჯვენეთ კრება ჰქონდათ. მათ დაადგინეს, უეჭველად მოითხოვონ, რომ ადრესში ნათქვამი იყოს მეფის თვითმპყრობელობა და განუსაზღვრელობა მისის უფლებებისა. ოქტომბრისტები ამ საკითხში უკიდურეს მემარჯვენეთ ვერ მოურიგდნენ. ადრესს სათათბირო განიხილავს დღეს.

**პოლონეთის საკითხი.** პოლონეთის საკითხი მთავრობას სათათბიროსათვის მიუნდვია. მთავრობა მხოლოდ იმას განაცხადებს სათათბიროში, რომ მას პოლონეთის ავტონომია შეუძლებელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ ზოგიერთა უფლებებს პოლონელებს მაინც გაუფართოვებს.

## ახალი ამბავი

◆ **პოლიტიკური საქმე.** გუშინ, ... ნოემბერს, ტფ. სამოსამართლო პალა... ში განსახილველად დანიშნული ყოფ... ლიტიკური საქმე როსტომაშვილისა, ს... დენტ ანდრონიკაშვილისა, ყარაჯ... და სხვათა, რომელთაც ჰბრალდებათ ... ლაბარში როსტომაშვილის სახლის ... მთავრობის საწინააღმდეგო შინაარ... ბროშურების საწყობისა და საიდუმ... სტამბის გამართვა. აქვე გაჩხრეკის დ... ნახეს რამდენიმე ყუმბარა. ამ საქმის ... მო სასამართლოს პასუხის გებაში მი... მულია 10-მდე კაცი.

◆ **გაზეთის დაკეტვა.** ტფ. გენერა... გუბერნატორმა სამხედრო წესების ხსნამდე დაკეტა სომხური გაზეთი „... კასიის დილა“ (კავკასიენ არაოტ). ... ლიციამ შრიფტიც წაიღო სტამბიდან.

◆ **ლექცია.** ოთხშაბათს, 14 ნო... ბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახ... ხო სახლში ილ. ფერაძე წაიკითხავს ლ... ციას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზ... შესახებ.

◆ **მექისეების კავშირი.** 11 ნოემ... ვარშამოვის თეატრის დარბაზში მო... ტფილისის აბანოების მსახურთა და მ... სეების კრება. დაესწრო სამასამდე კ... კრებამ გაიცნო დამტკიცებული წეს... აბანოების მუშათა კავშირისა, მიიღო და აირჩია კავშირის ბიუროს წევრ... არჩეულ იქმნა 9 კაცი: ტიგრან მირ... ანცი, მაშადი ყული, მკირტიჩ ხალ... გიანცი, თედო იაშვილი, მანუკ აირ... ტოვი, ხეჩო ამბარცუმოვი, არშაკ ა... ზიანცი, ხასან-მამად-ოღლი და მირზ... მად-ოღლი.

◆ **გემის გაძარცვა.** 10 ნოემბერს ... თენებისას აფშერონთან, როგორც ბ... დან „ზაკ.“ ს ატყობინებენ, გაუძარც... გემი „ცესარევიჩი“ და ზედ მყოფი მგ... ვრები. გემი კრასნოიარსკში მიდიო... თურმე. მძარცველები ბაქოში ჩამსხდ... გემში. ფოსტა გაუტაცნიათ. წაუღ... სპარსული ფული—რამდენიმე ათასი მ... მგზავრები გაუძარცვნიათ, შემდეგ ნ... დამსხდარან და წასულან.

◆ **პანაშვიდი.** კვირას, საღამოს ... საათზე, სიონის ტაძარში გადახდილ იქ... პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ ე... კოპოსის ალექსანდრეს სულის მოსახს... ბლად. პანაშვიდს ბლომად დაესწრნ... განსვენებულის პატივისმცემელნი.

◆ **თავის მოწამვლა.** 10 ნოემბ... ტფ. სახაზინო თეატრში წარმოდგ... ...ს არტისტმა ქალმა ანნა მიკულინ... სკაიამ სცენაზე დალია კარბოლის ს... ვე. მიკულინსკაია საავადმყოფოში წ... ვანეს მაგრამ იმავე ღამეს გარდაცვ...

# ფელეტონი

## კოოპერაციები და მათი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში.

(შემდეგი *)

კოოპერატიული მოძრაობა, რომელსაც თავდა-პირველად პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა, თან და თან უფრო მაგრად იკიდებდა ფეხს და ნაწარმოების სხვა და სხვანაირ დარგს ეხებოდა. 1826 წლიდან განსაკუთრებით შეემჩნია ზრდა კოოპერატიულ ამხანაგობებს. ინგლისის ასოციაციის 1830 წლის ანგარიში გადმოგვცემს, რომ ინგლისში უკვე 170 მომხმარებელი ამხანაგობა არსებობსო. 1832 წელს კი, იმავე ასოციაციის ანგარიშით, კოოპერაციების რიცხვი 400—500 აღემატებოდა. 1833 დაწყებული 1834 წლამდე ზრდა კოოპერაციებისა ნელდება, რადგანაც მათს განსავითარებლად საკმაო პოლიტიკური ნიადაგი არ იყო მომზადებული, მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისში კი, სახელდობრ, 1844 წელს, საფუძველი ჩაეყარა, ეგრედ წოდებულ, „როჩდელის პიონერთა“ ორგანიზაციას. როჩდელში დაარსებულ მომხმარელ ამხანაგობის მეთაურებმა შემოსავლის თანასწორად გაყოფა კანონად გაიხადეს. თავდაპირველად ამ ამხანაგობაში დამაარსებელ წევრებად სულ 28 კაცი ჩაეწერა; ამათ გადასწყვიტეს კვირაში ორ-ორი პენსი გამოეღოთ ხოლმე და ამრიგად შეადგინეს პატარა თანხა, რომლითაც დუქანი გახსნეს. როჩდელის პიონერთა თანხა, საქმის დაწყების დროს, 28 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, 44 წლის შემდეგ, ე. ი. 1888 წელს, მათი თანხა უკვე 338.837 გირვ. სტერ. აღემატებოდა; ჰქონდათ საკუთარი სკოლა, მოძრავი ბიბლიოთეკა, რომელიც 40.600 ტომზე მეტს შეიცავდა, ჰქონდათ 17 სამკითხველო და ერთი მშვენიერად მოწყობილი ლაბორატორია. ასეთია მდგომარეობა როჩდელის პიონერებისა, მაგრამ ასეთი არ იყო მათი წარსული. პატარა დუქანი, რომელშიაც რამდენიმე გირვანქა შაქარისა, ფქვილისა, ერბოსი და სხვა ამნაირების მეტს ვერაფერს ნახავდა ადამიანი, მარტო შაბათსა და ორშაბათს საღამოთი იღებოდა ხოლმე. წევრები ამ კოოპერაციისა, რომელთაგან ზოგიერთები ჩარტისტები იყვნენ, ზოგიერთები—სოციალისტ-ოვენისტები, ზოგიერთნი კი უბრალო რეფორმატორები, თვითონვე უდგნენ სათავეში ამ საქმეს, ჰყიდნენ საქონელს, ადგენდნენ შემოსავლისა და გასავლის ანგარიშებს, აგიტაციას ეწეოდნენ და სხვ.

ინგლისის თითქმის ყველა კოოპერატიული ამხანაგობანი ერთნაირს პრინციპებზე იყვნენ აშენებულნი. დეტალები, ადგილისა და დროის მიხედვით, რასაკვირველია, იცვლებოდა; მაგრამ საზოგადო საფუძვლები-კი არ იცვლებოდა. აი როგორი იყო ეს საფუძვლები:

1) გაყიდვა საქონლისა იმ ფასებში, როგორც ბაზარზე იყიდება ხოლმე;

2) ვაჭრობა ნაღდად, და არა ნისიად;

3) უზრუნველ-ყოფა იმისი, რომ საქონელი კარგი ღირსებისა იქნება;

4) მოგების განაწილება წევრთა შორის, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც წარმოების გაფართოვებას, კულტურულ-განმანათლებელ მიზნებსა და პროპაგანდას უნდა მოხმარდეს;

5) მართვა-გამგეობის დემოკრატიული ორგანიზაცია, რაიცა გამოიხატება იმაში, რომ ყოველს წევრს უნდა ჰქონდეს ხმა და ამასთანავე ერთად მხოლოდ ერთი ხმა.

დასამტკიცებლად იმისა, თუ რანაირად იყვნენ გატაცებულნი დემოკრატიულის ტენდენციებით როჩდელის პიონერები, მკითხველის ყურადღებას ზემოდ-მოყვანილ პრინციპების უკანასკნელ მუხლზე მოვაქცევ. ხმის უფლების გადაცემა კოოპერაციის წევრებს არ შეეძლიათ, ასე რომ თვითეული მათგანი, თუ საზოგადო საქმისათვის გული მართლა შესტკიოდა, იძულებული ხდებოდა კრებებს ყოველთვის დასწრებოდა. ამ რიგად კოოპერაციის წევრის პიროვნებას, მის პირად მონაწილეობას ეძლეოდა მნიშვნელობა და არა საკუთრებას. პირადი მონაწილეობა საზოგადო საქმეებში კი წევრს ინდიფერენტიზმს უკარგავს, საზოგადო საქმეებისადმი ზრუნვასა და აქტიურ მოქმედებას აჩვევს. ამ წესს მეტის-მეტად აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალებსაც უფლება ჰქონდათ წევრებად ჩაწერილიყვნენ ამ საზოგადოებაში და მამაკაცებთან თანასწორად ესარგებლათ ყველაფრითა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზდა ასოციაციას წინ ათასნაირი დაბრკოლება ეღობებოდა, დამფუძნებელნი ამხანაგობისა მაინც გულს არ იტეხავდნენ და ენერგიულად განაგრძობდნენ მუშაობას. ისინი სისტემატიურად ადგენდნენ ხოლმე ოქმებს გამგეობის სხდომებისას. ეს ოქმები ამ ამხანაგობის განვითარების ისტორიას წარმოადგენს. როგორც ზევითაც გითხარით, თავდაპირველად საქმეს თვითონ წევრები უძღვებოდნენ. ფული ძალიან ცოტა ჰქონდათ, მოსამსახურეების დაქირავება ვერ შეეძლოთ და ამიტომ იძულებულნი ხდებოდნენ დუქანშიაც კი თვითონ მდგარიყვნენ ხოლმე რიგ-რიგობით და საქმე ამნაირად ეწარმოებინათ. რამდენისამე ხნის შემდეგ, როდესაც ახლად დაწყებულმა საქმემ ცოტა სული მოიბრუნა და გაფართოვდა, ამხანაგობამ ცოტაოდენი ფულიც გადასდო იმათ დასაჯილდოვებლად, რომლებიც შრომას გასწევდნენ და ამხანაგობას პირადის მუშაობით დახმარებას აღმოუჩენდნენ. ამხანაგობის გამგეობის 1851 წლის ოქმში კი პირდაპირ სწერია: „სამუშაოს მიცემა მხოლოდ გამგეობასა და გამგეს შეუძლიან; ამასთანავე ერთად გასამრჯელო უნდა მიიღონ მხოლოდ იმ პირებმა, რომლებსაც გამგეობა ან მაღაზიის გამგე დააყენებს“. 25 წლის შემდეგ კი საზოგადო კრებაზე ამოირჩიეს მდივნად ჯემსი სმიტსი, ერთი პირველ პიონერთაგანი, რომელსაც 15 გის. სტ. დაუნიშნეს წელიწადში ჯამაგირად. ამოირჩიეს აგრეთვე ორი ნოქარი და ერთი გამგე; გამგეს 18 შილ. დაუნიშნეს კვირაში, ნოქრებს კი—ერთს 16 და მეორეს 15 შილ. კვირაში. ამავე კრებაზე დაადგინეს: „არც ერთი წევრი ამაანაგობისა, რომელიც ჯამაგირს იღებს, არ შეიძლება რომ გამგეობის წევრი იყოს და არც ერთს გამგეობის წევრს უფლება არა აქვს ჯამაგირიანი თანამდებობა აიღოს“.

ასეთი წესი ბევრს შეიძლება არ მოეწონოს. თუ კოოპერაცია ამხანაგურ საფუძველზეა აშენებული, მაშინ დაქირავებული მუშაობაც არ უნდა არსებობდეს, შეძლებისამებრ ყველამ უნდა იმუშაოს და მოგებაც თანასწორად გაიყოს, შეიძლება მითხრას ზოგიერთმა, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, ჯერ ისევ კაპიტალისტურ წეს-წყობილებაში ვცხოვრობთ. კოოპერაციას შეუძლიან ეხლავე განახორციელოს ყოველნაირი პრინციპები ერთობასა. კ... ოპერაციები, თუ ისინი მართლა ... ლურ ნიადაგზეა აშენებული, კაპიტალ... სტურ ურთიერთობას თავს ვერ დააღ... ვენ. თუ წარმოება პატარაა, მა... ამხანაგებს თვითონ შეუძლიანთ ... უძღვენ საქმეს, მაგრამ გაფართო... ბულ წარმოებას აუცილებლად დაქი... ვებული მომუშავენიც დასჭირდება. კ... ოპერატიულ ამხანაგობებს შეიძლება დ... ჭირდეთ ხელოსნები, გამოცდილი კ... მერსანტები, ბუხგალტერები, ორგანი... ტორები და სხვა ამნაირები. საზოგად... ების ყველა წევრს ყოველნაირი ხელ... არ ეცოდინება, არამც თუ ყოველნაი... შესაძლებელია არც ერთი ამ ხელო... თაგანი არ იცოდეს, მაგრამ კოოპე... ციის წევრად მაინც იმყოფებოდეს. ამა... თანავე ერთად კოოპერაციების წევ... ბად შეიძლება იყვნენ ისეთი პირებ... რომლებიც სხვაგან შოულობენ სარ... ვრებელ წყაროს. მომხმარებელი ამხა... გობანი, რომლებიც განსაკუთრებით მ... სიცოცხლის ძალას იჩენენ, მარ... დაუქირავებელ შრომით ვერას გზით ვ... იარსებებენ. ამიტომ უარსაყოფელია ... რი კოოპერაციების ფანატიკურ მომხრ... ებისა, რომელთაც სურთ დღესვე გა... რონ კოოპერატიულ მოძრაობაში ყ... ველნაირი გამოხატულება კაპიტალისტ... ურთიერთობისა. ასეთს ნიადაგზე აღმ... ცენებული ამხანაგობა უეჭველია ვერ ... იზრდება, ცოტა ხანს იბოგინებს და ... რე ისევ მალე მოკვდება.

კოოპერატორები განსაკუთრებით

*) იხ. „ისარი“ № 249.

ლა. მიზეზი თავის მოწამვლისა ჯერ გამორკვეული არ არის.

✦ **მადლობის გამოცხადებ** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ოქვენის გაზეთის საშუალებით ულრმეს მადლობას ვუცხადებთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც ტფ. სამოსწავლო ინსტიტუტს შეჰმოსწირა 33 ცალი სხვა და სხვა ქართული წიგნი, ღირებული 21 მ. ტფ. სამოსწავლო ინსტიტუტის ქართველი მოსწავლენი“.

✦ **უმაღლეს კურსებზე**. დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექს. ბაღი), წაკითხულ იქმნება მეორე ლექცია გ. მ. სმირნოვისა კავკასიის მადნეულობასა და წყლებზე. ხვალ იმავ კურსებზე წაიკითხავენ ორ ლექციას; დილის 12 საათზე—ბოტანიკაზე (ა. ფომინი) და საღამოს 6 საათზე—ქართულ ენაზე (ი. აბულაძე)

✦ **წარმოდგენა ყაზბეგის სკოლის სასარგებლოდ**. ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ საარტისტო საზოგადოების თეატრში 23 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება პიესა „სკლეპ“ ქ-ნ ლ. ბ. იავორსკის მონაწილეობით. იმედია, როგორც კვლავ, წრეულსაც თანაგრძნობას აღმოუჩენს საზოგადოება ხსენებულ სკოლას და დაესწრება წარმოდგენას.

✦ **ახალი ნომერი „ნაკადული“ სათავის პრემიებით.** გამოვიდა მე-21 ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-სა (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს დაურიგდათ პრემია 1907 წლისა—ვილჰელმ და იაკობ გრიმების ზღაპრები, თარგმანი ივ. ქავთარაძისა. საპრემიო წიგნი მშვენივრად არის გამოცემული, კარგ ქაღალდზეა და დასურათებულია. ეს წიგნი საუცხოვო საჩუქარია ყმაწვილებისთვის. იგი ცალკეც იყიდება წერა-კითხვის მაღაზიასა და „ნაკადულის“ რედაქციაში. აქვე მოგვყავს შინაარსი ჟურნალის მე-21 ნომრისა: „ვანო და თამრო“—ლექსი ი. ევდოშვილისა; „მამა და შვილი“—ნ. ნაკაშიძისა; „რომ დაღუპა“,—მოთხრობა უცნობისა; „დურგალი“—თარგმანი ი. ანთაძისა; „ლომი და კურდღელი“—არაკი ბოცვაძისა; „პირუტყვების გონიერება“ და გასართობი.

✦ **ყალბი ფული და სხვის პასპორტები.** 11 ნოემბერს პოლიციაში ისაკ ატამანოვს განუცხადებია: ოქრომჭედლების ქუჩაზე მეთორნეს სტეფანე თამარაძეს მიუტანე დასახურდავებლად სამი მანეთი. თამარაძემ ჯერ მიიღო 3 მანეთიანი და მერე იმის ნაცვლად ყალბი ფული შემოაპარა. მითხრა, წვრილი ფული არა მაქვს, ვერ დაგიხურდავებთო. თამარაძე გაჩხრიკეს და უნახეს მეორე ყალბი სამ მანეთიანი და ოთხი პასპორტი სხვა და სხვა პირისა.

✦ ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობს ერთი ქართველი ყმაწვილი, რომელსაც მშვენიერი ხმა აქვს. სამწუხაროდ, ყმაწვილი იმდენად გაჭირვებულია, რომ ხელმოკლეობით უძნელდება სწავლის განგრძობა. კარგი იქნება ქველმოქმედებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. ფულის გამოგზავნა შეიძლება „ისრის“ რედაქციაში.

✦ კვირას, საღამოთი, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში ექიმმა ა. დისამიძემ წაიკითხა ლექცია ყვავილის შესახებ. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ აბესალომოვის სახელობის სტიპენდია დაუნიშნა ქალთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეს ტატიანა სკრობკოს.

✦ კაბგეროვის ქუჩაზე 11 ნოემბერს საღამოთი მეთორნეს ივანე ციხისელს შეუვარდა სამი შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა. უცნობებს 40 მან. ამოუღიათ კასიდან და მიმალულან.

✦ 11 ნოემბერს მეჯევის ქუჩაზე №-23 სახლს გამრეკელოვის ბინიდან ცეცხლი გაუჩნდა. მალე მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ცეცხლი ჩააქრო.

✦ 11 ნოემბერს ნიკოლოზის ქუჩაზე ვაჭარს მამედ გასან იმამოვს გაუტეხეს ფქვილის საწყობი, საიდანაც გაიტანეს დროგებით 16 ტომარა ფქვილი, 182 მან. 8 ტომარა ფქვილი პოლიციელმა დააკავა ქუჩაზე, ხოლო 8 ტომარა აღმოაჩნდა მუხრანსკის ქუჩაზე მეპურეს გრიგორ ამბარიანცს, რომელიც დააპატიმრეს.

# პატარა ფელეტონი

## კუჭის ქურუმნი

მწარე ფიქრების წყაროა განსვენებულ ეპისკოპოს გრიგოლის ნეკროლოგი, რომელიც ამას წინათ გაზ. „ისარში“ დაიბეჭდა. გამომჟღავნებულია ის სამარცხვინო მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდა განსვენებული მაღალი სასულიერო გვამი თავის ჭსიცოცხლის განმავლობაში. მექრთამეობა, ქრისტეს სარ. წმუნოების შებღალვა, უმაღლესი თავის კერძოობა, და ყველა ამის ჯილდოდ—სასიამოვნო დასჯა, ჩინებულ მონასტერში, კარგ ჯამაგირზე დასვენება.

თვით ეპისკოპოსი ქვეყანაზე აღარ არის, მოშორდა ამ წუთი-სოფელს, მაგრამ რამდენი კაცია სამღვდელო პირთა შორის, რომელიც დღეს ქვეყანაზე სცოცხლობს და განსვენებულ ეპისკოპოსის მაგალითს სიამოვნებით ჰბაძავს!

წაიკითხეთ სახალხო ანდაზები, გადაათვალიერეთ შიგ დაცული სიბრძნის მარგალიტები და უეჭველად დარწმუნდებით, როგორ დაბალის აზრისაა ხალხი საზოგადოდ მღვდლის, ამ ვითომ—და სულიერ მოძღვრის შესახებ.

მოგითხრობთ აქ ერთ ნამდვილ ამბავს, რომელიც რუსეთის სოფელში მოხდა. იგი მკვეთრად ახასიათებს უმრავლეს სამღვდელო პირთა მოღვაწეობას, იმ გარემოებას, თუ როგორ გაფაციცებით სცდილობენ ისინი დაახშონ ხალხის გულში ღვთიური რწმენა და შიგ სამაგიეროდ კუჭის კერპი აღმართონ.

ხსენებულმა სოფლის მღვდელმა შემდეგის ქადაგებით მიმართა თავის მრევლს ერთ დღესასწაულის წინა დღეს:

«ძვირფასო შვილნო ჩემნო, თქვენ იცით, რომ ხვალ დიდებული დღეა, რომელიც ყველამ ულრმესის სასოებით უნდა ვიდღესასწაულოდ, ამ დღეს უნდა მოვიგონოთ, როგორ ეწვია აბრაამსა და სარას უზენაესი ღმერთი ორის მთავარ-ანგელოზის თანხლებით; უნდა მოვიგონოთ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, რამეთუ სიტყვა და რწმენა უსაქმოდ მკვდარ არს.

„კარგად ყური დამიგდეთ, ღრმად შეისმინეთ, თუ რასა ჰქვიან საქმით ღვთის თაყვანის ცემა. მე მოგითხრობთ იმას, თუ როგორ დაუხვდნენ ღმერთსა და იმის მორჩილ მთავარ-ანგელოზებს ჭეშმარიტად ღვთის მმოსავი ადამიანები, აბრაამ და იმისი ცოლი სარა, და ამ დიდებულ გვამთა მაგალითი გასწავლით, თუ რასა ჰქვიან საქმით ღვთის დიდება.

„როცა ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი უფალი თავის მთავარ-ანგელოზებით აბრაამსა და სარას სახლში ეწვია, ეს უკანასკნელნი, რადგან თავს უზენაეს ღვთაების ხილვის უღირსად სთვლიდნენ, დედა-მიწაზე დანარცხდნენ და თავ-აუღებლად მოახსენეს უფალსა თვისსა: უფალო და მეუფეო, არა ღირს ვართ ხილვისა პირისა შენისასა, ვითარცა ცოდვილი და უბადრუკნი ადამის შვილნი. შენ განანათლე შენი უზენაესი სტუმრობით ეს დაბალი სენაკი ჩვენი. აწ განისვენე შენის მთავარ ანგელოზებით ამა დაბალსა ტახტსა ზედა ჩვენსა, რათა მე და ჩემმა მეუღლემ სარამ გიმასპინძლოთ სიღარიბისაგან ჩვენისა.

„ისმინეთ, შვილნო ჩემნო, რა მოხდა ამის შემდეგ.

„აბრაამ და სარა უკან-უკან ფორთხვით გავიდნენ ოთახიდან, სადაც ღმერთი თავის მთავარ-ანგელოზებით ტახტზე დაბრძანდა და მოთმინებით იცდიდა. ამ დროს აბრაამმა და სარამ შეაგროვეს რაც კი რამ ჰქონდათ ოჯახში საუკეთესო სასმელ-საჭმელი, ჩინებულად დამზადებული შეჭამადები, ძვირფასი ღვინო. ყველა ეს ვიწრო და გძელ ტაბლაზე დაალაგეს, აქეთ-იქიდან ხელი მოჰკიდეს, ოთახში შეიტანეს და მაღლა თვალ-აუხყრობლად, ულრმეს სასოებით, ღვთისა და იმის მთავარ-ანგელოზის წინაშე დაასვენეს.

„უფალმა თავის მხლებლებით, რასაკვირველია, სიამოვნებით მიირთვა ღრმა სასოებით მორთმეული გემრიელი სასმელ საჭმელი, აბრაამ და სარა კი ამ დროს ოთახის კუთხეში იდგნენ, უდიდესი კრძალვა-მორიდებით, თვალ-აღუხყრობლადა და ხმა ამოუღებლად.

„მიირთვა რა აბრაამ და სარას მორთმეული სადილი უფალმა ღმერთმა თავისის მთავარ-ანგელოზებით, ძვირფას ღვინით ადღეგრძელა აბრაამ და სარა და შემდეგ აღვიდა ცად.

«ახლა თქვენ უკვე მოისმინეთ, შვილნო ჩემნო, თუ როგორ დაუმტკიცეს აბრაამმა და სარამ უფალსა ჩვენსა, რომ ისინი არა სიტყვით, არამედ საქმით იმისი მმოსავნი იყვნენ. ხვალ ამ დიდებულის დღის მოსაგონებლად, მე, დიაკვნისა და მედავითნის თანხლებით ყველას კარ-და-კარ ჩამოგივლით და თქვენც, ძვირფასო მრევლო ჩემო, უნდა საქმით და არა ცარიელი სიტყვით დაგვიმტკიცოთ, რომ ნამდვილი ღვთის მორჩილი ქრისტიანები ხართ.“

**ი. ნაკაშიძე**.

## გადასახლებულნი არხანგელსკში.

ჩვენს „ალთქმის ქვეყანაში“ ამ ბოლო დროს ასობით დაუწყეს დენა პოლიტიკურ დამნაშავეებს. რამდენისამე ხნის წინად ჩამოიყვანეს სამასი მატროსი, რომელთაც დამცველად დაუყენეს ორი როტა სალდათი. მათ აპრალებდნენ კრონშტადტის არეულობაში მონაწილეობის მიღებას.

დღეს ადგილობრივი ადმინისტრაცია ახალ ბინას ამზადებს სამას სამოც სტუმრისთვის, რომელთაც ამ დღეებში მოელიან. დაიჭირეს ასამდე სტრაჟნიკები — როგორც ამბობენ, სამ კაცს ერთი სტრაჟნიკი ეყოლება ყარაულად. ბინა უკვე მოუმზადეს „სოლოვეცკი პოდვორიაში“, სადაც ზაფხულობით მლოცველები წვებიან ხოლმე.

18 ოქტომბერს მოსკოვიდან ჩამოვიდა ეტაპი, რომელსაც ჩვეულებრივად მოჰყვა რამდენიმე ქართველი. რადგან მდინარეები ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყო გამაგრებული ყინულისაგან, ციხეში გააჩერეს და როცა ყინვა 19-0 გრადუსამდე ავიდა, იგინიც გაისტუმრეს შორეულ მაზრებში —ზოგი პინეგისა და ზოგიც მეზენში. არხანგელსკიდან პინეგამდის ეტაპი მიდის თერთმეტ დღეს, მეზენში—ოც და რვა დღეს, ხოლო პეჩორაში (უსტ-ცილმაში)—კი თვე ნახევარს

საცოდავი სანახავი იყო ეტაპით მიმავალ ქართველების მდგომარეობა. თითქმის სულ ყველა საზაფხულო ტანისამოსში იყო, ზოგს უბრალო წუღა და წინდა ეცვა. ცხვირსახოცით იფარავდნენ ცხვირს და ყურებს სიცივისაგან, მაშინ, როცა ადგილობრივი მცხოვრები ვერ უძლებს სიცივეს, „უშუბოდ,“ „უვალენკოდ“ და თავზე უჩაბავოთ (ირმის ტყავისაგანაა თავ-სახურავი). მერე წარმოიდგინეთ ამ სიშორეზე ფეხით სიარული ამისთანა სიცივეს უჩვევ ტანისათვის! (ცხენებს აძლევენ მხოლოდ ავადმყოფებს) საჭიროდ მიმაჩნია ვამცნო უნებლიეთ ჩვენსკენ მომავალ ამხანაგებს, რომ რაც შეიძლება თბილი ტანისამოსი იქონიონ, საჭიროა საზოგადოებამაც, ვ საც გული შესტკივა, მიაქციოს ამათ ყურადღება და დაიცვან სიცივით სიკვდილისაგან.

**ერმინე ხეთელი**.

# პროვინციის ცხოვრება

**ს. ფ. ფარცხანაყანები** (ქუთაისის მაზრა). ... გორის სხვაგან, ... ბასაც ამ სამი თვის წინად მაზრის უფროსმა წინადადება მისცა, ფული გამოეღო სტრაჟნიკების დასაქირავებლად. მაზრის უფროსი ჰპირდებოდა, რომ უთვალავი ბოროტება და ქურდობა-ავაზაკობა მოისპობაო. ხალხმაც დაიქირავა 5 სტრაჟნიკი, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, ფარცხანაყანებს ამას სტრაჟნიკებისაგან დღე დაადგა! საზოგადოებაში იწინეს თავი დღემდის დამალულმა ნაძირალებმა და შეუდგნენ ხალხის ძარცვა-გლეჯას და წვრას. მრავალი უდანაშაულო ხალხი გაისტუმრეს შორეულ ქვეყნებში და მრავალსაც ემუქრებიან, თუ ფული არ მოგვეციათ, თქვენი შვილის ფარული მოწერილობა გვაქვს და უნდა დაგაკავოთო! აქაურ სტრაჟნიკებს შორის არის ორი—პეტრე ბაგურაძე და დიმიტრი თურქია, რომლებიც, ვინ იცის, რას არ სჩადიან. ამას წინად გიდაცას ახლად დაბადებული ბავშვი ნიქაბაძის დობესთან დაუგდო. ეს რომ გაიგეს ჩვენმა სტრაჟნიკმამასახლისმა, წავიდნენ, დაიარეს მოსახლეები და სადაც გათხოვარი ან ქვრივი ქალი შეუმჩნევიათ, ამოარჩევინეს ძუძუები და ძრახვებით წვალა დაუწყეს. ქალების წივილ-კივილს და შიშს საზღვარი არა ჰქონდა.

ამავე საზოგადოებაში იციან სამმაგათობით ბაზრობა. იკრიბება ხალხი მახლობელ საზოგადოებიდან; ვაჭარი ებრაელები კი მოდიან ქუთაისისა და კულაშიდან. ვაჭრობისას საზოგადოება ვაჭრებს აძლევინებს ბაჟს. ჩვენი სტრაჟნიკები არა სჯერდებიან ამას და ისინიც აძლევინებენ ფულს, რამაც ვაჭრები დააფრთხო. ამ აღებულ ფულებით შედიან დუქნებში, სვამენ, თვრებიან, ისვრიან თოფებს და ხალხს შიშის ზარსა სცემენ. მოსვლის დროს სტრაჟნიკები ცხენებს სიმინდშიაც კი უშვებდნენ. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. კარგი იქმნება, ვისაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ სტრაჟნიკების თავგასულობას.

**ბ. თ.**

**სოფ. დიდი თონეთი**. უფრო კუთხიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ შიმშილი სტყნდება სოფლის გლეხ-კაცობას. სოფლებს ეხლავე მიეკედლებიათ შური და არ იციან როთი უშველონ თავს. ამ დამშეულ სოფლების სიას კიდევ ემატება სოფელი დიდი თონეთი და მისი მიდამო პატარა სოფლები, რომლებიც მდებარეობენ ტფილისის მაზრაში. ამ სოფლებს პური ჯერ კიდევ სექტემბრის ნახევრიდან შემოაკლდათ და ეხლა ხომ უკიდურესი შიმშილობაა. სხვაგან თუ პური არ მოუვიდათ, ღვინის ან ბაღის მოსავალი მაინც იყო. ღვინოს ან ბაღეულობას უყიდიან და ამით პურს შოულობენ. ჩვენ სოფლებშიკი პურის მეტი არაფერი არ მოდის და

---

უნდა ეცადნენ, რომ დაქირავებულმა მუშებმა კარგს პირობებში იცხოვრონ და მოგება მთელ კოოპერატიულ წარმოებისა წევრთა საზოგადო საჭიროებებსა, კულტურულ-განმანათლებელ საქმესა და ურთიერთ დახმარებას მოხმარდეს. თან და თან, ცხოვრების საზოგადო პირობების გაუმჯობესების მიხედვით, რასაკვირველია, კოოპერაციებსაც ფერი ეცვლებათ და თანდათან მეტს სოციალისტურს ელემენტს შეიტანენ მასში, მაგრამ დღეს კი იმითაც უნდა დავკმაყოფილდეთ, რის განხორციელებაც მოსახერხებელია ახლანდელს პირობებში.

1847—1848 წლებში ჴროჩდელის პიონერებს სხვებმაც მიჰბაძეს და იმათ მზგავსი კოოპერატიული ამხანაგობანი დაარსეს. 1851 წელს კი შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ინგლისში უკვე 130 კოოპერატიული მომხმარებელი ამხანაგობა არსებობდა. თუმცა ამ ამხანაგობებში 50 კაცზე მეტი იშვიათად იყო ხოლმე მაშინ, როდესაც როჩდელის საზოგადოებაში 670 კაცზე მეტი შედიოდა, მაგრამ ასეთი გავრცელება კოოპერატიულ ორგანიზაციებისა მაინც საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ინგლისში ბევრნაირი კოოპერატიული ამხანაგობანი არსებობს, მაგრამ, უებბის სიტყვით, განსაკუთრებით კარგს პირობებში კოოპერატიული წისქვილები და ფურნეები ყოფილა. როგორც უებბი გადმოგვცემს, ამ კოოპერატიულ წისქვილებს 2.000.000 გირ. სტ. შემოსავალი ჰქონია წელიწადში. ეს მაგალითი, სხვათა შორის, მჭერმეტყველურად ასაბუთებს იმ აზრს, რომ კოოპერატიულ მოხმარებასთან დაკავშირებულ კოოპერატიულ წარმოებასაც ისე კარგად შეუძლიან განვითარება, როგორც მომხმარებელ ორგანიზაციებს.

1847 წელს ლიდში დაარსდა სახალხო წისქვილი, რომლის მონაწილეთა რიცხვიც 2000 კაცამდე ადიოდა. ამ ამხანაგობის ძირითად თანხას, მოქმედების დაწყების დროს, 2000 გირვ. სტ. შეადგენდა. ამ ამხანაგობის საქმე დღითი დღე ფართოვდებოდა და მტკიცე ნიადაგზე დგებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ამავე ამხანაგობამ გახსნა სხვა დარგის საწარმოვო განყოფილებანი საწარმოვო განყოფილებაში დამზადებულ საქონელით მომხმარებელი განყოფილებანი სარგებლობდნენ, მომხმარებელ განყოფილებათა მყიდველებად კი უმეტეს შემთხვევაში მწარმოებელ განყოფილებათა წევრები გამოდიოდნენ. უებბი გადმოგვცემს, რომ 20$^0/_0$ ფქვილისა, რომელსაც კოოპერატიული წისქვილები ჰყიდიდნენ, მიდიოდა მომხმარებელ ამხანაგობათა განყოფილებებზედ.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ სწორეთ იმ პროცესს, რომელზედაც პირველს ფელეტონში ვლაპარაკობდით: მომხმარებელი და მწარმოებელი წრეები სათანადო კოოპერატივების შემწეობით ერთი ერმანეთს უახლოვდება და მათ შორის თან და თან შუამავალი ისპობა. სადამდის მიგვიყვანს ეს პროცესსი, მართლა დიდი მნიშვნელობა ექნება მას სოციალურ ტრანსფორმაციის დროს, თუ არა,—ამაზე წინასწარმეტყველება სრულიად მეტად მიგვაჩნია და შეუძლებელადაც, მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება კი არ გვეპატიება. ჩვენ ამ პროცესში ვხედავთ იმ ეთის მხარეებს, რომლებიც სოციალისტურის თვალ-საზრისით საყურადღებონი არიან და ამიტომ ყურადღებაც უნდა მივაქციოთ.

1847 წელშივე გალიფაკსში მუშათა ერთმა ჯგუფმა დააარსა კოოპერატიული ამხანაგობა ფქვილის იაფ ფასად შესაძენად 1863 წელში მან დიდ-ძალი ფქვილი შეიძინა, 1873 წელს კი საქმე იმნაირად მოაწყო, რომ მთელი ფქვილის თითქმის ორ მესამედს ახლო მახლო მყოფ მომხმარებელ კოოპერაციებზე ჰყიდდა. მომხმარებელსა და მწარმოებელ ორგანიზაციებს შორის ისეთი გასაოცარი სულიერი კავშირი არსებობდა, რომ მეწისქვილეთა ორგანიზაციამ მომხმარებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლები თავის წევრებად მიიწვიეს და ამ რიგად გალიფაკსის წისქვილი ფედერალისტურ ორგანიზაციად გადაიქცა.

ასეთი ფედერალისტური დამოკიდებულება ორგანიზაციათა შორის უებბს მათს განვითარების საუკეთესო გარანტიად მიაჩნია. უებბის აზრით, პოლიტიკურ ცხოვრებაშიაცა ხდება ევოლიუცია ცენტრალისტურ წეს-წყობილებიდან ფედერალისტურ წეს-წყობილებისკენ, და ამიტომ კოოპერატიულ კავშირების ორგანიზაციასაც ფედერალისტურ პრინციპებს უდებს.*)

ასეთი იყო მდგომარეობა კოოპერატიულ ამხანაგობებისა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც კაპიტალიზმი ახლად იდგამდა ფეხს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კოოპერაციების რიცხვი უფრო გაიზარდა და უფრო მაგრა მოიკიდა ფეხი. ვითარდება როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი კოოპერაციები. ინგლისის მაგალითმა, როგორც ზევითაცა ვსთქვი, სუცხოვოდ დაამტკიცა, რომ მწარმოებელ კოოპერაციებს შეუძლიანთ არსებობა, თუ დაკავშირებულნი არიან მომხმარებელ კოოპერაციებთან. სოციალდემოკრატების მიერ გავრცელებულ აზრს, ვითომც მწარმოებელ კოოპერაციებს არსებობა ვერ შეუძლიანთ, ინგლისის მაგალითი არღვევს.

1898 წელს ინგლისში უკვე 865 მწარმოებელი კოოპერატიული ამხანაგობა ითვლებოდა, ამ კოოპერაციებში მომუშავეთა რიცხვი კი 30,100 კაცს აღემატებოდა. სამუშაო ხელ-ფასად მიუციათ 13,630,000 მანეთი; საზოგადოთ მათ დაუმზადებიათ საქონელი, რომლის ღირებულებაც 95,880,000 მანათს შეადგენს. თითქმის ყველა ეს კოოპერაციები მოგებას თავის წევრებს შორის ანაწილებენ ხოლმე და ამ რიგად თვით-მოქმედებასა და ინტენსიურ მუშაობას უღვიძებენ.

უფრო უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ მომხმარებელი კოოპერაციები, რომლებიც სოკოსავით მოედვნენ მთელს ინგლისს. მაგალითად, 1897 წელს ინგლისში 1686 მომხმარებელი ამხანაგობა არსებობდა, 1898 წელს 1603; ნაკლები აქ იმიტომ არის, რომ სათვალავში არ არის ჩაგდებული ირლანდიის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციები, რომლებსაც 1897 წელს საზოგადოთ ინგლისის კოოპერაციებს ათვლიდნენ. 1897 წელს ინგლისის ამხანაგობათა წევრებად 1.591,000 კაცი ითვლებოდა, 1898 წ.—1,646 000. საწევრო გადასახადი 1897 წელს 18 მილიონ თუმანს შეადგენდა, 1898 წ. კი—19 მილიონ თუმანს. 1897 წელს ინგლისში 62 მილიონ თუმნის საქონელი გაიყიდა, 1898 წელს კი—65 მილიონ თუმნისა. მოგება 1897 წელს 6 მილიონ თუმანს შეადგენდა, 1898 წელს კი—7 მილიონ თუმანს.

1899 წელს ამხანაგობათა საქმე უფრო წინ წავიდა. ამ წელში ამხანაგობათა ბანკმა, რომელიც მანჩესტერში იმყოფებოდა, 6 თვის განმავლობაში 286.230.000 მანეთი დაატრიალა ინგლისის სხვა ბანკები ჩვეულებრივად 6—7$^0/_0$ აძლევინებენ ხოლმე მაშინ, როდესაც ამხანაგობათა ბანკი თავის ღლეში 4$^0/_0$ მეტს არაის აძლევინებდა და ამასთანავე ერთად 1$^0/_0$ კიდევ დივიდენდად თავის წევრებს უბრუნებდა ხოლმე. ინგლისის ამხანაგობას აქვს თავისი საკუთარი შვიდი გემი, რომლებიც სხვა და სხვა ქვეყნებში დადიან და ამხანაგობისთვის საჭირო საქონელს ადგილობრივ ყიდულობენ.

1902 წლის ცნობებით, ინგლისში 1454 მომხმარებელი კოოპერაცია არსებობდა. ამ კოოპერაციებში 1.892 987 ოჯახი შედიოდა, ე. ი. 1/4 მთელი მცხოვრებლებისა. 1902 წელს ეს ამხანაგობანი 55 მილიონ თუმანს ატრიალებდნენ. 1904 წელს კი ერთმა კავშირმა თავის 49.340 წევრს ერთ მილიონ თუმნის საქონელი მიჰყიდა და ამით 285 ათასი თუმანით ნაკლები დაახარჯვინა.

ინგლისის ამხანაგობანი უმეტეს შემთხვევაში თითონვე ამზადებენ ხოლმე წევრთათვის საჭირო საქონელს. ამაში უნდა ვეძებოთ უმთავრესი მიზეზი მათის განვითარებისა.

ასეთი წარმოშობა და განვითარება ინგლისის კოოპერაციებისა რაცა შეეხება სხვა ქვეყნების კოოპერაციებს, ამაზე შემდეგ მოგელაპარაკოთ **არ. ჯ—შვილი.**

*) ვისაც სურვილი აქვს დაწვრილებით გაეცნოს ამ საკითხს, წაიკითხოს უებბის წიგნი: „Кооперативное движенiе въ Англiи“.

ა. ჯ.

ისიც ასე ადრე შემთაკლდათ. სოფლები ამას მკის დროსაც ჭხედავდნენ და იმ დროს მაზრის უფროსს სთხოვეს სათესლე პური. მაზრის უფროსიც დაჰპირდათ. ხალხი დაიმედებული იყო მაზრის უფროსის დაპირებით და მაშინვე შეუდგა მიწის მოხვნას; ვისაც საქონელი არა ჰყავდა, ხელით დაბარა მიწა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ თესლის ლოდინში და დღესაც დაუთესავი აქვთ მოხნული და დაბარული მიწები. დღემდე გლეხობა მანგლისში ყიდულობდა ჯარისაგან არყანთის პურს და იმით იკვებებოდა. ეხლა ადარც ამ პურს აძლევენ სასყიდლად. მიზეზი რა არის, არ ვიცით. ეხლა ამორჩეული კაცები გაჰგზავნეს ტფილისში, მთავრობას დახმარებას სთხოვენ ვინ იცის, აქედანაც გამოვა რამე თუ არა. **აქაური.**

# სასამართლო

## გურიის რევოლიუციის საქმე.

მეორე წელიწადი სრულდება, რაც საპყრობილეში სხედან გურიის რევოლიუციის გამო ბრალდებაში მიცემულნი—13 კაცი. ამათ ჰბრალდებათ 1905 წელს რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. ამ საქმის საბოლოო გამოძიება დასრულდა 1907 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში და გადაეცა ცანსახილველად ტფილისის სამოსამართლო პალატას. საქმე პალატის სესიას 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში უნდა განეხილა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დღემდე არ არის დანიშნული. ეხლა, როგორც გავიგეთ, ამ საქმის გამო პროკურორის მხრივ მოწვეულ 63 მოწმეს შუამდგომლობა აღუძრავს, გურიის პროცესი ოზურგეთში დაინიშნოს განსახილველადაო. შუამდგომლობა საგუბერნიო სამართველოს შეუწყნარებია, ამიტომ მოსალოდნელია საქმე ოზურგეთში იქნება განხილული. ერთი ბრალდებული, დ. შილაკაძე, გარდაიცვალა, სხვებიც დასუსტებულნი და დაავადებულნი არიან, ღარიბ-ღატაკნი. ამ ხნის განმავლობაში მოკლებულნი არიან ყოველ კერძო დახმარებას; თუ ერთ-ორს ყურადღებას აქცევენ, ეს ყველასათვის არა კმარა. არც ის იციან, ამათთვის გული შესტკივა ვინმეს თუ არა და რამეს სცდილობენ თუ არა. მხოლოდ ზოგიერთებისთვის კერძოდ უცნობებიათ, ეცადეთ დამცველისთვის ფული იშოვნოთო, ვინაიდან ფულითაც ძნელია დამცველის შოვნაო. **გორიანელი.**

## ეპისკოპოსი ალექსანდრე

—

9 ნოემბერს გარდაცვალებული ეპისკოპოსი ელექსანდრე ერის კაცობაში იწოდებოდა ალექსი ოქროპირიძედ. დაიბადა 1824 წელს, გორის მაზრაში. სწავლა მიიღო ჯერ ტფილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ ყაზანის სას. აკადემიაში. აკადემიაში შესვლისავე ალიკვეცა ბერად ალექსანდრეს სახელწოდებით. 1862 წელს აკურთხეს გორის ეპისკოპოსად. 1882—1886 წლამდე განაგებდა გურიის ეპარქიას. შემდეგ ისევ გორის ეპისკოპოსად და ექსარხოსის ვიკარად იყო 1898 წლამდე. ამ წელს დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად. 1903 წელს მოხუცებულობისა გამო დათხოვნილ იქნა და საცხოვრებლად გადმოსახლდა თავის მიერ განახლებულ შიო მღვიმის მონასტერში.

განსვენებული დახმარებას უწევდა ახალგაზდობას სწავლა-განათლების მიღებაში. დააარსა რამდენიმე სტიპენდია სემინარია-სასულიერო სასწავლებელში. მისისავე საფასით გამოიცა „მზა მეტყველება“ ანტონ კათალიკოსისა, საბა სულხან ორბელიანის „ლექსიკონი“ და სხ. განაახლა მონასტრები შიო მღვიმისა და იოანე ზედაძნელისა, პირველს 21,000 და მეორეს 11,700 მანეთი შესწირა. ეს თანხა ხელუხლებლად დევს სახელმწიფო ბანკში, ხოლო სარგებელი ეძლევა მონასტერთა საჭიროებას. **გ.**

# რუსეთი

—:—

✦ **თავის მოწამვლა.** მოსკოვში ერთ უცნობ ქალს საწამლავი დაულევია. ქალი საავადმყოფოში წაუყვანიათ. იქ გაიგეს, რომ უცნობი წევრი ყოფილა ერთ სარევოლიუციო პარტიისა. მას დავალებული ჰქონია ერთ ცნობილ მოხელის მოკვლა, მაგრამ ვერ გაუბედნია და საწამლავი დაულევია. ქალი ჯერ არ მომკვდარა. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აქვთ.

✦ **ებრაელთა საკითხი.** ამას წინად ვწერდით, რომ მემარჯვენე დეპუტატებს შეუდგენიათ კანონ-პროექტი, რომლის ძალით რუსეთში მცხოვრებ ებრაელებს წაერთმევათ უფლება რუსეთის ქვეშევრდომობისა. ამ საქმეზე ლაპარაკი ჰქონია მინისტრთა საბჭოს, რომელსაც აღნიშნული კანონ-პროექტი არ მოუწონია.

✦ **ვიბორგის საქმე.** საბოლოოდ გადასწყდა, რომ იმ დეპუტატების საქმეს, რომელთაც ვიბორგის მოწოდებას ხელი მოაწერეს, პეტერბურგის სამოსამართლო პალატა გაარჩევს 12 დეკემბერს. საქმე გაირჩევა ხალხის დასწრებით. ვერ უპოვნიათ მხოლოდ შესაფერი შენობა.

✦ **აჯანყებულთა საქმე** ვლადივოსტოკში მომხდარი სამხედრო აჯანყება უკვე გამოუძიებიათ. სამხედრო სამართალში მიუციათ 132 სალდათი სანაღმო როტისა, 66 მეზღვაური და სამი საზღვაო აფიცერი.

# უცხოეთი

**ავსტრია.** ავსტრიაში ეროვნულ ნიადაგზე შეტაკება ხშირი მოვლენაა. საქმე ხშირად სისხლის ღვრით გათავებულა. 28 ოქტომბერს ვენისა და გრაცის უნივერსიტეტებში იტალიელ და გერმანელ სტუდენტებს მოუხდათ შეტაკება. გრაცში იტალიელნი დაერივნენ გერმანელებს. ვენაში იტალიელებმა გარიბალდის ჰიმნი იმღერეს პროტესტის ნიშნად. გერმანელებმა ეს ვერ მოითმინეს, დაერივნენ იტალიელებს, რომელნიც გარეთ გავიდნენ და პარლამენტის წინ მოინდომეს დემონსტრაციის გამართვაც. პოლიციამ დემონსტრატები გაფანტა.

მიზეზი ძველია. დიდი ხანია, რაც იტალიელები თხოულობენ ტრიესტში იტალიურ უნივერსიტეტის დაარსებას, მაგრამ ვერას ხდებიან. საქმე გაჭიანურდა. გერმანელები არ თანხმდებიან. ამ ნიადაგზე უკვე რამდენჯერმე მოხდა შეტაკება იტალიელებს და გერმანელთა შორის. დემონსტრანტებმა ცალკე ფურცელი გამოუშვეს და განაცხადეს, რომ მათი პროტესტი მიმართული იყო წინაღმდეგ მთავრობისა და არა გერმანელ ერისა, რომელსაც ამ საქმეში ბრალი არ ედება. გარდა ამისა ვენაში მოხდა კრება იტალიელ სტუდენტებისა, რომელთაც მრავალი მისალოცი დეპეშა მიიღეს სლავიანთა სტუდენტებისაგან. კრებამ დეპუტაცია გაუგზავნა საერო განათლების მინისტრს, რომელმაც განაცხადა, რომ ის ეცდება საქმე მოაგვაროს. მაგრამ მისგან ბევრი არაფერია დამოკიდებული, ამიტომ მოსალოდნელი არ არის, რომ ახლო მომავალში ტრიესტში იტალიური უნივერსიტეტი დაარსდეს.

## პასუხი აკაკის

—

ღრმად პატივცემულო აკაკი! მე ვერ დაგეთანხმებით, ვითომ კანონი და სამართალი ჩვენში ქრისტეს მოძღვრებაზე ჰყოფილიყოს აგებული. თვით ვახტანგის სჯულის დება საკმაოდ მიმტკიცებს, რომ ჩვენში «არა ქრისტიანული მოვლინება» ბლომად ჰყოფილა დაკანონებული. მე არ შემიძლია ამ ჟამათ, მიგითითოთ რომელიმე ისტორიულ ნაკვთზე იმ აზრის დასამტკიცებლად, რომელიც თქვენ სიყალბედ მიგაჩნიათ. სამაგიეროდ ბატონ-ყმობა ჩვენში ბევრ მოხუცს კარგათ ახსოვს და მათი გარდმოცემა ასეთ ახლობელ წარსულზე იგივე ისტორიული დოკუმენტია. თუ ჩემს სიტყვას ერწმუნებით, მე ბევრი მოხუცისაგან გამიგონია, რომ ზოგზოგი ბატონები ჩვენში სარგებლობდნენ პირველი ღამის უფლებით. თქვენ ხშირათ ჰყოფილხართ ქაიხოსრო წერეთლის ქალთან სალომესთან. იმისაგან მე თვითონ გამიგონია ერთი შემთხვევა, როცა ყმას მოუკლავს თავისი ბატონი, რამდენათაც მახსოვს, კალატოზიშვილი, როცა ამას აღნიშნული უფლებით სარგებლობა მოუნდომებია. რაც შეეხება წარსულის ზაზღს, თქვენ ტყუვილათ გიფიქრიათ, ვითომ მე ის განუკითხავად მეზიზღებოდეს: ჩვენს წარსულში არის ბევრი რამ, რითაც ქართველი ერი მარად იამაყებს და მეც ვამაყობ.

თქვენი მარად პატივისმცემელი
**ივ. გომართელი.**

## ღია წერილი.

**ბ-ნთ გიორგი სოლომონის-ძე მირზოიაშვილს და ვასილ კირვალიძეს!**

სამედიატორო სასამართლო, რომელიც შესდგა ბ-ნთ ფილიპე მახარაძის და ვალ. გუნიას შორის ხარბინიდან გამოგზავნილ ფულის შესახებ, მოგმართავთ თხოვნით რაც შეიძლება საჩქაროდ აცნობოთ თქვენი ადრესი და აგრეთვე ის, თუ როდის შეგიძლიანთ გამოცხადდეთ სამედიატორო სასამართლო კრებაზე ჩვენების მოსაცემათ ამ ადრესით: ოლგას ქუჩა, № 17.

თავმჯდომარე **ირაკლი გუნცაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ბვალიშვილი.**


# განცხადებანი

გარემოების გამო ვყიდი
**საგანგებოდ მოწყობილ ქართულ**

# ბიბლიოთეკას

რომელიც შეიცავს 20 წლის განმავლობაში გამოცემულ ყოველ-გვარ ქართულ წიგნების თითო ეგზემპლიარს. წიგნები დავარაყებულ ყდებით არის დანუმრული, და შვიდ კატალოგზე შედგენილი და დაყოფილი: I. სასულიერო მწერლობა; II მჭევრმეტყველობა; III. ისტორია-გეოგრაფია და მოგზაურობა; IV. კაზმული სიტყვიერება: მოთხრობები და პოეტური ნაწარმოებნი ცალკ-ცალკე; V. დრამატიული თხზულებანი; VI საყმაწვილო და VII სამეცნიერო: ფიზიკა, ჰიგიენა, მედიცინა, ტეხნიკა და სამეურნეო და საპოლიტიკო წიგნები. ამასთანავე 1904—1905 და 1906 წლების „ცნობის ფურცელი“ და „მეგობარი“ ყდებით და სურათებიან დამატებით. სრულის წლის „ივერია“ ყოველდღიური და ყოველკვირეული და აგრეთვე ყდებით: „მუშა“, „ხმა“, „სიტყვა“, „ნობათი“, „გლეხი“ და „ახალი დროება“. ყველა წიგნები და გაზეთები თავის დაჩუქურთმებულ ახალ ძვირფას შკაფით ეძლევა მხოლოდ 200 მანეთად. მისამართი: Станція Михайлово. Г. Чархишвили.

(8—400—6)

პირველი კერძო სამკურნალო

# დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აკოფიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გედევანიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. ზმეიანცი:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—160)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

# საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—82)

მასწავლებელთა

# საყურადღებოდ!

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.
ამ დედანთან სახმარებელი
**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეთიკული კრებული“
ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.
„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—18)

**გამოვიდა**

ახალი სრულიად შესწორებული და გამუშავებული

# ქართული წერის დედანი

**და**

**სახატავი ნიმუშები**

**ს. ცაიშვილისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში გ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში. ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ ცაიშვილს. (10—3—6)

# ვერაზე

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იყიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საჟ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის“ რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: Арагвинская ул., д. № 8. (10—6)

**ვერავინ** ვერ გააკეთებს უკეთეს პორტრეტს, რომელიც საოცარის მსგავსებით, სუფთა მუშაობით ყველაფერსა სჭარბობს, რაც ამ დარგში დღემდე ყოფილა. ასეთ პორტრეტს, ზომით 10×12 ვერშოკს, კარგ ჩარჩოში ვამზადებ 3 მან. პეტერბურგის გარეშე მცხოვრებთათვის გაგზავნით 4 მ. სამხატვრო მაღ. „სვეტოპისი“ მ. ზ. კალდობსკისა, პეტერ., სადოვაია, 64—21, ნიკოლსკ. ხიდთან. ფირმა არსებობს 1884 წლ. ტელ. 242—61. საჭიროა აგენტები. საპასუხოდ 7 კ. მარკა. **„სვეტოპისი“** (3—ბ.—2)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“,

**რომელიც დაარსდა 1860 წელს.**

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

# ლეოპოლდ ნეიშელლერ-

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვე საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—94)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.